ეთიკის კომისიის

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

**მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი** – პ. ა.

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 26.10.2021

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 073/21

**ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი** – ადვოკატი რ. რ.-ის /სიითი N/ მიმართ

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ რ. რ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

### I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 26 ოქტომბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა პ. ა.-მა და მოითხოვა ადვოკატ რ. რ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი რ. რ. იცავს მისი პროცესუალური მოწინააღმდეგის გ. უ.-ის ინტერესებს პირველი ინსტანციის სასამართლოში, შემდეგ საქმეებზე: N---, N--- და N---.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი რ. რ. სასამართლოში გ. უ.-ის ინტერესების დაცვით, ხელყოფს პ. ა.-ის უფლებებს და არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 4.5 მუხლს; სისხლის სამართლის კოდექსის 326-ე მუხლსა და საერთაშორისო შეთანხმებებს.

1.4 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატი რ. რ. არღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დაცულ პრინციპებს და ითხოვს ადვოკატის დისციპლინირებას.

2. **ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა რ. რ.-მ 2022 წლის 18 იანვარს, პირადი მეილის - --- წარმოადგინა ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ პ. ა.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, უსაფუძვლო გამდიდრებასა და უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ სამოქალაქო დავაში წარმოადგენს პ. ა.-ის ოჯახის წევრების პროცესუალური მოწინააღმდეგის - გ. უ.-ის ინტერესებს. ადვოკატის განცხადებით, გარდა სასამართლო პროცესებისა, საჩივრის ავტორთან არ ჰქონია არავითარი კომუნიკაცია, ხოლო საჩივარში აღწერილი ბუნდოვანი გარემოებების გათვალისწინებით, მისთვის გაუგებარია საჩივრის ავტორის პრეტენზიები.

2.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, პ. ა.-მა რამდენჯერმე დაურეკა და ადვოკატისათვის ბუნდოვან გარემოებებზე ისაუბრა, კერძოდ, საჩივრის ავტორის განცხადებით, გ. უ. თავს დაესხა პ. ა.-ის ოჯახს, რომელიც არის საერთაშორისო დაცვის ობიექტი.

## II სამოტივაციო ნაწილი

### 3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი რ. რ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო; ბავშვთა უფლებები (სამოქალაქო).

3.2 პ. ა.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 26 ოქტომბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016-2021 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

### 4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-9-ე მუხლის ,,ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

### 5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი რ. რ., პ. ა.-ის პროცესუალური მოწინააღმდეგის გ. უ.-ის ინტერესების დაცვით ხელყოფს საჩივრის ავტორის უფლებებს, მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის, საერთაშორისო შეთანხმებებისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული პრინციპების საწინააღმდეგოდ.

5.2 ეთიკის კომისიაში საქმისწარმოებისას, საჩივრის ავტორს არ დაუზუსტებია საკუთარი პრეტენზიები ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ. ეთიკის კომისიამ მას პოზიციის სრულად წარმოდგენისთვის მისცა ზეპირ სხდომაში მონაწილეობის შესაძლებლობა, კერძოდ, ეთიკის კომისიის აპარატი 2022 წლის 25 იანვარს საჩივრის ავტორს დაუკავშირდა  საჩივრის ავტორს, განუმარტა, რომ საჩივარში მითითებული გარემოებები იყო ბუნდოვანი და საჭიროებდა

დაზუსტებას - საჩივრის ავტორს უნდა დაეზუსტებინა ადვოკატის კონკრეტულად რომელ ქცევას მიიჩნევდა ეთიკური ნორმების დარღვევად. შემდეგ, საჩივრის ავტორს მის მიერ წერილობით საჩივარში მითითებულ მობილურის ნომერზე - --- და მის პირად ელექტრონულ ფოსტაზე - --- ეცნობა ეთიკის კომისიის სხდომის თარიღი (1 თებერვალი) და გაეგზავნა დისტანციური სხდომის ლინკი.

5.3 პ. ა.-მა უარი განაცხადა ეთიკის კომისიის სხდომაში მონაწილეობაზე, არ გამოიყენა ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის მიერ შეთავაზებული შესაძლებლობა, რომ ესარგებლა თავისი პოზიტიური უფლებით დაესაბუთებინა საჩივარი. ეთიკის კომისიის მითითების მიუხედავად, არ ისურვა საჩივარში აღწერილი გარემოებების წერილობით დაზუსტება, ამასთან არ დაესწრო საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 1 თებერვლის სხდომას, რაც მის უფლებას წარმოადგენს. კოლეგია უფლებამოსილია „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქმეზე მიიღოს შემაჯამებელი გადაწყვეტილება.

5.4 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულება გარკვეულ მოთხოვნებს აწესებს საჩივრის ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით, რომელთა შესრულება სავალდებულოა საჩივრის ავტორისთვის. დებულების მე-9 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად: „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი არ შეიცავს ამ დებულებით განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს“. დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტების მიხედვით საჩივარი უნდა შეიცავდეს განმცხადებლის მოთხოვნას და გარემოებებს, რომელსაც ეფუძნება მოთხოვნა“. შესაბამისად, ეთიკის კომისიის მიერ, საჩივრის ავტორის პრეტენზიების განხილვის მიზნით, აუცილებელია წარმოდგენილი იქნეს საჩივარი წერილობითი ფორმით, რომელშიც მითითებული იქნება საჩივრის ავტორის მოთხოვნა ადვოკატების მიმართ და გარემოებები, რომელსაც ეფუძნება ეს მოთხოვნა. „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა შეუსრულებლობა საჩივრის ავტორისთვის გამოიწვევს უარყოფით შედეგს.

5.5 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ საპროცესო კოლეგია საჩივარს იკვლევს მასში აღწერილი და წარმოების პროცესში გამოვლენილი ფაქტების ფარგლებში. საჩივრის ავტორს, ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია დაზუსტებული განცხადება, სადაც ნათლად და მკაფიოდ იქნებოდა აღწერილი ადვოკატ რ. რ.-ის კონკრეტულად რომელ ქცევას ხდიდა სადავოდ და მისი პოზიციით, ადვოკატის რომელმა ქმედებამ გამოიწვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების დარღვევა. შესაბამისად, წარმოდგენილი საჩივრის შინაარსი არ ასახავს პ. ა.-ის მოთხოვნას ადვოკატ რ. რ.ის მიმართ. პ. ა.-ს ჰქონდა შესაძლებლობა, საპროცესო კოლეგიაში საქმისწარმოების დროს, ეთიკის კომისიისათვის წარედგინა დაზუსტებული საჩივარი, სადაც ასახული იქნებოდა მისი მოთხოვნები ადვოკატის მიმართ. ამრიგად, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ საჩივრის ავტორის მიერ არ მოხდა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით დადგენილი

ვალდებულებისა და ეთიკის კომისიის მითითებების შესრულება, საქმეში წარმოდგენილ საჩივარზე, ადვოკატ რ. რ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

5.6 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5, მე-6 პუნქტებით, მე-7 მუხლის „დ" და „ე" პუნქტებით, მე-9 მუხლის „ზ" ქვეპუნქტით, მე-19, მე-20 მუხლებით, 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

## III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №073/21 ადვოკატ რ. რ.-ის /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/